სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-062301

ქ. თბილისი 23 ივნისი 2015 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ოლპრინტჯი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით სამუშიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ს[1]" პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის ფოტოსურათების მიწოდება (შესყიდვის დანაყოფი 22300000-ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა; CPV 22315000-ფოტოები) (დანართ #1) - ში მოცემული დასახელებების და რაოდენობების შესაბამისად.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 800 (რვაასი) ლარი, დღგ–ს გათვალისწინებით.

3.2 ეთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1 - ში.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2015 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და ა.შ.) წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" უფლებამოსილი წარმომადგენელი.

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების საგანში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

6.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებილის ფაქტიურ მისამართზე: ქ. თბილისი, ვ.ბაგრატიონის 5 ბლოკი 2

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდ ველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6.5 მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს "მიმწოდებლის" საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

ბ) უზრუნველყოს მისი ბრალეულობით ,,შემსყიდველისთვის'' მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,"მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.3 „შემსყიდველი" ვალდებულია 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 დამატებითი პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი

შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ.N76ბ სს „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ა N GE77LB0113123325230012 ს/კ 412670097	შპს ,,ოლპრინტჯი" იურ/მის: ქ. თბილისი ვ.ბაგრატიონის 5 ბლოკი 2 სს ,,პროკრედიტ ბანკი" კოდი: MIBGGE22 ა/ა GE54PC0043600100029559 ს/კ 400044518 ტელ: 2 14 14 06; 593 12 14 11; 577 65 11 60
ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი დირექტორი	დავით სამუშია დირექტორი

დანართი #1

საქონლის დასახელება /მახასიათებლები	განზომილების ერთეული რაოდენობა	ერთულის ფასი	ღირებულება
ფოტოსურათი პვხ 1ა	20 ცალი	40,00	800,00
დღგ-ს ჩათვლით			800 (რვაასი) ლარი

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს ,,ოლპრინტჯი"

დავით სამუშია
დირექტორი